

---

## მიხაკო წერეთლის მოღვაწეობა ემიგრაციაში Mikheil Tsereteli's Activities in Emigration

---

Levan Bregadze

ლევან ბრეგაძე

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*Georgia, Tbilisi*

*საქართველო, თბილისი*

### Hermann Buddensieg's Translation of *The Knight in the Panther's Skin* in Relation to Mikheil Tsereteli's Interlinear Version

ჰერმან ბუდენზიგის თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ მიმართება  
პოემის მიხეილ წერეთლის პწკარედულ თარგმანთან

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10916>

Hermann Buddensieg (1893-1976), who translated *The Knight in the Panther's Skin* into German in the 1960s–70s—a translation first fully published in Tbilisi in 1976—notes in the preface that, as someone who did not know Georgian, he relied on Mikheil Tsereteli's (1878-1965) then-unpublished interlinear translation in order to create a poetic rendition of the poem. He also acknowledges having benefitted from the consultations of Georgian Rustvelologists and Germanists.

Thanks to Tsereteli's interlinear version, not only the semantic content but also a significant portion of the poem's artistic and expressive devices were adequately rendered in the translation.

**Key words:** The Knight in the Panther's Skin, Mikheil Tsereteli, Hermann Buddensieg, interlinear translation, poetic translation

**საკვანძო სიტყვები:** ვეფხისტყაოსანი, მიხეილ წერეთელი, ჰერმან ბუდენზიგი, პწკარედი, პოეტური თარგმანი

ჰერმან ბუდენზიგი (1893-1976), ვინც მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში გერმანულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც სრულად პირველად 1976 წელს თბილისში გამოიცა, თარგმანს დართულ წინათქმაში აღნიშნავს, რომ მას, ქართული ენის არმცოდნეს, პოემის პოეტური თარგმანის შესაქმნელად მიხეილ წერეთლის (1878-1965) იმ დროისთვის გამოუქვეყნებელი გერმანული პწკარედული თარგმანი გამოუყენებია და ქართველი რუსთველოლოგებისა და გერმანისტების კონსულტაციებითაც უსარგებლია.

ახლა, როდესაც ემიგრანტი ქართველი მეცნიერის მიხეილ წერეთლის მიერ შესრულებული პწკარედი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისა“ გამოცემულია (პარიზი, 1975) და თბილისშიც ადვილად ხელმისაწვდომია (2015 წელს დასტამბა თსუ გამომცემლობამ), შესაძლოა ვილაპარაკოთ მ. წერეთლის პწკარედთან ჰ. ბუდენზიგის თარგმანის მიმართების თაობაზე, რისი საშუალებაც არ

გვექონდა 1976 წელს, როდესაც შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ხელმძღვანელობის თხოვნით თარგმანის რეცენზირებაზე ვმუშაობდით (მოხსენება წავიკითხე 1976 წელს, ლიტერატურის ინსტიტუტში, გამოქვეყნდა კრებულში „ვეფხისტყაოსნის უახლესი თარგმანები ევროპულ ენებზე“. „მეცნიერება“, 1980).

მიხეილ წერეთლის პწკარედის დამსახურებაა, რომ პოემის არა მარტო აზრობრივი შინაარსი, არამედ დედნის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების დიდი ნაწილი ადეკვატურად არის გადასული თარგმანში. მეტაფორები, მხატვრული შედარებები, ლექსიკური გამეორებები, რუსთაველისთვის მეტად დამახასიათებელი კონტრასტული პარალელიზმიც კი თითქმის ყოველთვის შენარჩუნებულია თარგმანში.

3. ბუდენზიგის თარგმანი გერმანული ჰექსამეტრით არის შესრულებული, ანუ ურითმოა, მაგრამ სტრიქონში მახვილთა მკაცრად მოწესრიგებული განლაგება განაპირობებს იმას, რომ ტექსტი ლექსად აღიქმება. ამასთან ერთად თარგმანის მრავალი სტრიქონი, დედნის მსგავსად, ეფექტური ალიტერაციებით გამოირჩევა, რაც რითმების არარსებობის ვითარებაში მნიშვნელოვან ვერსიფიკაციულ მოვლენას წარმოადგენს. „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ცნობილი ალიტერაცია, სტრიქონთა შინაარსთან დაკავშირებული, გერმანულად ჩინებულად გადაუტანია გერმანელ მთარგმნელს, რისთვისაც მას პწკარედის ავტორის მიგნებები გამოუყენებია.

ციტატა ჩვენი რეცენზიიდან:

„რუსთაველის ალიტერაციებზე როდესაც ჩამოვარდება სიტყვა, პირველ ყოვლისა, ალბათ, მოგვაგონდება სტრიქონი: „კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარბაკე“. ამ ტაეპის ბგერწერის ფუნქციის შესახებ ალექსანდრე ბარამიძე შემდეგს აღნიშნავს: „მოყვანილი ტაეპის ალიტერაციები და ასონანსები სიუხვით, სიმკვეთრით და სილამაზით უძლიერეს ემოციურ შთაბეჭდილებას ტოვებს. რუსთაველი ბგერების საშუალებით ახერხებს გადმოსცეს საძულველი გადამთიელის (ხვარაზმშაჰის ძის) კარვის ჩაჭრის, ჩაკაფვის და ჩანგრევის კოლორიტული, რეალისტური სურათი; ბგერებში საუცხოოდაა ჩაქსოვილი აზრი“.

ვნახოთ ეს სტრიქონი გერმანულად:

Die verwickelte Zeltwand zerschnitt ich, zerfetzte sie völlig.

ერთნაირი ან მსგავსი ბგერები ისეა ჩახლართული მთელ ტაეპში, როგორც ის კარვის კალთა, რომელზედაც აქვეა საუბარი; გვითხულობთ და ქსოვილის ფხრეწის ხმაც კი გვესმის. ალექსანდრე ბარამიძის კომენტარი უცვლელად მიესადაგება თარგმანსაც!“ (ბრეგაძე, 1980, გვ. 51).

მაშინ ვიფიქრე, რომ ამ ტაეპის ალიტერაციული შესაბამისობა დედანთან ბუდენზიგის ქართველი კონსულტანტების დამსახურებაა-მეთქი, იმიტომ, რომ ნაკლებ მოსალოდნელია ალიტერაცია პწკარედში აისახოს. ახლა კი ვიცი, რომ ამ ტაეპის ალიტერაცია მიხეილ წერეთლის პწკარედიდან მომდინარეობს. შევადაროთ:

*Die verwickelte Zeltwand zerschnitt ich, zerfetzte sie völlig.*

(Buddensieg, 1976, გვ. 84)

*Die gewirkte Zeltwand zerschnitt und zerfetzte ich.*

(Tseretheli, 2015, გვ. 93)

Wirken ზმნის ერთ-ერთი მნიშვნელობა არის ქსოვა. მისგან ნაწარმოები მიმღეობა (gewirkt) ჩაუნაცვლებია ბუდენზიგს სხვა, მეტმარცვლიანი, მიმღეობით (verwickelt), რაც უთუოდ ჰექსამეტრის გასამართავად დასჭირდა, ალიტერაციისთვის საჭირო ბგერები კი (r, w, k, t) შეუნარჩუნებია. სხვა ყველაფერი იგივე დაუტოვებია და ერთი სიტყვა völlig (სრულიად) დაუმატებია.

აქედან კარგად ჩანს რაოდენ არის დამოკიდებული 3. ბუდენზიგის თარგმანი მ. წერეთლის პწკარედზე. ვნახოთ ამის დასტურად კიდევ რამდენიმე მაგალითი.

რეცენზიაში ვწერდით:

„განსაკუთრებული გულისყურით ექცევა მთარგმნელი პოემის მეტაფორულ სისტემას. ბუდენზიგი კარგად გრძნობს, რომ „მეტაფორა რუსთაველის შემოქმედების სული და გულია“ (შალვა ნუცუბიძე). იშვიათი გამონაკლისის გარდა იგი არ შიფრავს მეტაფორებს, მათი მხატვრული ფორმის ზუსტად გადატანას ახერხებს გერმანულად“ (ბრეგაძე, 1980, გვ. 52).

ახლა კი შედარებამ გვიჩვენა, რომ მეტაფორების თარგმანი ზოგჯერ თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა მ. წერეთლის პწკარედს:

„ტარიელ შეკრთა, შეინძრა რაზმი ინდოთა ტომისა“.

(რუსთველი, 1988, გვ. 206. – ინდოთა ტომის რაზმი აქ წამწამებია)

*Tariel zuckte auf, die Schar ind'schen Stammes bewegt' sich;*

(Buddensieg, 1976, გვ. 179)

*Tariel zuckte auf, die Schar des indischen Stammes bewegte sich.*

(Tseretheli, 2015, გვ. 199).

ზუსტად იგივეა, აპოსტროფებს თუ არ ჩავთვლით!

თითქმის ასეთივე ვითარებაა აქაც:

„ვარდისა ბაღსა უჩრდილობს ჩრდილი წამწამთა ქოხისა“

(რუსთველი, 1988, გვ. 192. – ვარდის ბაღი ლოყებია, წამწამთა ქოხი – წამწამების ერთობლიობა. ავთანდილზეა ლაპარაკი);

*Seinen Rosengarten beschattet' die Laube der Wimpern*

(Buddensieg, 1976, გვ. 167);

*Seinen Rosengarten beschattet ihm der Schatten der Wimperlaube*

(Tseretheli, 2015, გვ. 186).

პირველი სამი სიტყვა ხომ ზუსტად მეორდება ბუდენზიგთან, მაგრამ მთავარი მთარგმნელობითი მიგნება მაინც „წამწამთა ქოხისა“ Wimperlaube-დ თარგმნაა. ქოხი გერმანულად die Hütte-ა, მაგრამ მიხეილ წერეთელი მისთვის პოულობს ჩინებულ შესატყვისს – die Laube – რაც ფანჯატურს ნიშნავს, რუსულად რომ неседа-ს ეძახიან. Laube იმიტომ ჯობია აქ Hütte-ს, რომ იგი მცენარეებით მოჩრდილულ სამყოფელს გულისხმობს, ეს კი კარგად ესადაგება დედნის „წამწამთა ქოხს“. მ. წერეთლის პწკარედსა და ჰ. ბუდენზიგის თარგმანს შორის აქ მარტო ის განსხვავებაა, რომ გერმანულ მთარგმნელს კომპოზიტი Wimperlaube დაუშლია და ამ სახით წარმოუდგენია: die Laube der Wimpern.

ახლა ეს მეტაფორა ვნახოთ:

„შიგან მელნისა მორეცსა, ცურავს გიშრისა ნავი სად“

(რუსთველი, 1988, გვ. 191);

*Da wo im tiefen Tintenteich das achatene Boot schwimmt*

(Buddensieg, 1976, გვ. 167);

*In den Tintentiefe hinein, wo das gagatene Boot schwimmt*

(Tseretheli, 2015, გვ. 283).

პწკარედსა და თარგმანს შორის დიდი მსგავსება აქაც თვალსაჩინოა, მეტადრე ტაეპის მეორე ნაწილში: *das gagatene Boot schwimmt* (წერეთელი) – *das achatene Boot schwimmt* (ბუდენზიგი). განს-

ხვალება მარტო ისაა, რომ დედნის „გიშერი“ ქართველ მთარგმნელს Gagat-ად უთარგმნია, გერმანელს კი – Achat-ად. Gagat და Achat ჟღერადობით კი ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ სხვადასხვა მინერალეზია. რაც მთავარია, აქ შავი ფერის მინერალია საჭირო, ვინაიდან „მელნისა მორევი – ავთანდილის ცრემლებით სავსე მუქი თვალების მეტაფორაა; გიშრისა ნავი – წამწამები“ (ვასაძე, 2011, გვ. 222). აქატი კი ფერადი მინერალია. უნდა იყოს das gagatene Boot, ისევე, როგორც ეს მ. წერეთელთან არის. კარგი იქნებოდა აქაც პწკარედის მონაცემს მიჰყოლოდა გერმანელი მთარგმნელი.

მიხეილ წერეთლის „გაგატს“ ბუდენზიგი რატომღაც სხვაგანაც „აქატი“ ცვლის – რამდენიმე ასეთი შემთხვევა დავაფიქსირეთ.

\* \* \*

რუსთაველის პოეტიკისთვის ძალზე დამახასიათებელია ერთი საინტერესო რიტორიკული ფიგურა, რომელსაც კონტრასტულ პარალელიზმს უწოდებენ: ესა თუ ის აზრი, ინფორმაცია, მსჯელობა იქვე მეორდება საწინააღმდეგო შინაარსის შემცველი ფრაზის უარყოფით, რაც მხატვრულ სახეს შინაგან დინამიკას ანიჭებს, სიცოცხლეს ჰმატებს ხშირი ხმარებისგან გაცვეთილ სიტყვა-გამოთქმებს. რეცენზიაში ვწერდით:

„სასიამოვნოა, რომ ბუდენზიგს საუცხოოდ ესმის კონტრასტული პარალელიზმის მნიშვნელობა და უმეტეს შემთხვევაში შესანიშნავად გადააქვს თარგმანში რუსთაველისთვის ესოდენ დამახასიათებელი ეს ფიგურა“ (ბრეგაძე, 1980, გვ. 56-57). სამაგალითოდ დავიმოწმეთ ფატმანის დახასიათება: „ნაკვთად კარგი, შავგრემანი, პირმსუქანი, არ პირხმელი“ (რუსთველი, 1988, გვ. 166).

ხაზგასმული ადგილი ბუდენზიგთან ასეა: „...von vollem, nicht magerem Antlitz“ (Buddensieg, 1976, გვ. 146). აქაც ჩანს პწკარედის კეთილი გავლენა: „...von vollem, nicht hagerem Gesicht“ (Tseretheli, 2015, გვ. 158). Mager და hager, გარდა იმისა, რომ ფონეტიკურად მსგავსი სიტყვებია, ამავე დროს სრული სინონიმებიც არიან – ორივე გამხდარს ნიშნავს. ასევე სინონიმებია (die) Antlitz და (das) Gesicht – ორივე სახეს ნიშნავს. ოღონდ Gesicht იამბია – ბოლოდან პირველ მარცვალზე მოუდის მახვილი, ხოლო Antlitz – ქორეა – მახვილით ბოლოდან მეორე მარცვალზე, და ბუდენზიგსაც აქ ქორე სჭირდებოდა ჰექსამეტრის მისაღებად.

ვნახოთ კიდევ ორი მაგალითი, სადაც პწკარედშიც და თარგმანშიც შენარჩუნებულია კონტრასტული პარალელიზმი:

„მე თუ დრომდის არ მოვიდე, გლოვა გმართებს, არ სიცილი“  
(რუსთველი, 1988, გვ. 21);

*Kehr ich zur Zeit nicht zurück, dann sollt ihr **trauern, nicht lachen***  
(Buddensieg, 1976, გვ. 34);

*Kehre ich nicht zurück zur bestimmten Zeit, so ziemet euch **Trauern, nicht Lachen***  
(Tseretheli, 2015, გვ. 29).

„მოვიდა კაცი მეფისა, ცისკრობს, არ დანადამია“  
(რუსთველი, 1988, გვ. 76);

*Morgens schon früh kam ein Bote des Königs, **nicht abends***  
(Buddensieg, 1976, გვ. 71);

*Ein Bote des Königs kam (zu mir) **am frühen Morgen, nicht am Abend***  
(Tseretheli, 2015, გვ. 81).

უნდა ითქვას, რომ სხვა მთარგმნელები დიდ ყურადღებას არ აქცევენ რუსთაველის წერის მანერისთვის ერთობ ნიშანდობლივ ამ სტილისტიკურ ფიგურას, საჭიროდ არ მიიჩნევენ მის გადატანას თარგმანში. ახლახან ციტირებული ამ სამი ფრაგმენტის კონტრასტული პარალელიზმიდან

არც ერთი არ აქვთ გადატანილი თავიანთ თარგმანებში არც არტურ ლაისტს, არც ჰუგო ჰუპერტს, არც მარი პრიტვიცს. მხოლოდ რუთ ნოიკომს გადაუტანია პროზაულ თარგმანში პირველი ორი მათგანი მეტ-ნაკლები წარმატებით:

*Sie ist von schöner Gestalt, mit bräunlichem, vollem Antlitz, nicht mager im Gesicht*

(Rustaweli, 2003, გვ. 89)

და *Kehre ich nicht zurück, bis zur bestimmter Zeit, wird Trauer, nicht Lachen, Euer Teil sein*

(Rustaweli, 2003, გვ. 18).

\* \* \*

ავთანდილი უთვლის როსტევანს: „შესთვალა: „გკადრებ მეფეო, მე ესე გამიგონია“ (რუსთველი, 1988, გვ. 28), და ორწერტილის შემდეგ მოდის ის, რაც ავთანდილს „გაუგონია“. „გამიგონია“ აქ ნიშნავს: „მომიფიქრებია“, „გონებაში გამიტარებია“ და არა – „მომისმენია“. ამიტომ არ არის სწორი მისი ასე თარგმნა: „...*ich melde Dir, König, was ich gehört hab*“ (Buddensieg, 1976, გვ. 31).

მ. წერეთელთან სწორადაა: „გამიგონია“ ასეა თარგმნილი: „*ich denke so*“ (Tseretheli, 2015, გვ. 40), სიტყვასიტყვით: „მე ასე ვფიქრობ“.

საერთოდ, ამ სტროფის ბუდენზიგისეულ თარგმანს თითქმის არაფერი აქვს ლექსიკურად საერთო მ. წერეთლის პწკარედთან. ეს და კიდევ რამდენიმე ამგვარი ადგილი გვაფიქრებინებს, რომ ზოგიერთი სტროფის თარგმნისას ბუდენზიგი შესაძლოა სხვა პწკარედსაც იყენებდა.

\* \* \*

არაზუსტია ბუდენზიგთან ცნობილი ტაეპი: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერც კლდოვანი“ (რუსთველი, 1988, გვ. 124). ვიწროც და კლდოვანი გზაც ორივე ძნელად სავალი გზაა და ასეც უნდა იყოს. აქ ის აზრია, რომ სიკვდილს საბოლოოდ წინ ვერაფერი აღუდგება. თარგმანში კი რატომღაც ასეა: „სიკვდილს ვერ დაიჭერს ვერც ადვილად სავალი და ვერც კლდოვანი გზა“ – „*Weder ein leichter noch ein Felsenweg hält unser Tod auf*“ (Buddensieg, 1976, გვ. 113).

მ. წერეთელთან სწორადაა: „*Es vermag weder der schmale noch der felsige Steg aufzuhalten den Tod*“ (Tseretheli, 2015, გვ. 123).

სხვა მხრივ ბუდენზიგის თარგმნილი ეს სტროფი ერთობ ახლოა ლექსიკურად მ. წერეთლის პწკარედთან. შევადაროთ ერთმანეთს მე-4 ტაეპის, ცნობილი აფორიზმის – „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“ – თარგმანები:

*Besser ein ruhmreicher Tod als wie ein schimpliches Leben*

(Buddensieg, 1976, გვ. 113);

*Besser ist ein ruhmvoller Tod als ein schimpliches Leben*

(Tseretheli, 2015, გვ. 123).

\* \* \*

ორიოდე შემთხვევაში ბუდენზიგთან მეორდება ის უზუსტობა, რაც მ. წერეთელთანაც შეინიშნება.

რეცენზიაში ვწერდით:

„როცა ავთანდილს უნდა ძალით ათქმევინოს ასმათს უცხო მოყმის ამბავი, ქალი დიდ უარზეა, უძალიანდება და მეტაფორულად ეუბნება: „მზე არ მახლავს, შეგეტყვების, **თრთვილო** ასრე მით მაწყენო“ (რუსთველი, 1988, გვ. 41). თარგმანშია: „*Tau, meine Sonne ist fern, deshalb kannst du mir etwas zu leid tun*“ (Buddensieg, 1976, გვ. 43).

*Der Tau* არის ნ ა მ ი. თრთვილი შეცვლილია ნამით. არადა, აქ აუცილებელია თრთვილი. ასმათი გულისხმობს: მზე (ტარიელი) ჩემთან აღარ არის და შენ (თრთვილს) გინდა დამაზროო. ნამი კი, ცხადია, ვერ დააზრობს, პირიქით, შეიძლება კიდევ მოასულიეროს. *Tau*-ს ნაცვლად უნდა იყოს *Reif*“ (ბრეგაძე, 1980, გვ. 53).

მ. წერეთელთანაც თრთვილი რატომღაც ნამად არის თარგმნილი:

*Man sieht's bei dir, dass die Sonne nicht in meiner Nähe ist, o du **Tau**, darum kannst du mir so Leid antun!* (Tseretheli, 2015, გვ. 242).

ასეთივე ვითარებაა ამ ტაეპის თარგმანშიც:

„ვით მწვანელსა **თრთვილისაგან**, პირსა ფერი მოაკლდების“  
(რუსთველი, 1988, გვ. 112).

ბუდენზიგთანაც და წერეთელთანაც თრთვილის ნაცვლად აქაც ნამია:

*Wie der **Tau** das Grün bleicht, so verfärbt sich sein Antlitz*  
(Buddensieg, 1976, გვ. 103),

*Seine Gesichtsfarbe erbleicht wie die Blume durch den **Tau***  
(Tseretheli, 2015, გვ. 113)

\* \* \*

უზუსტობა შევნიშნე ორი ძალიან ცნობილი აფორიზმის თარგმანში. ამის თაობაზე რეცენზიაში ვწერდი:

„რუსთაველის აფორიზმები, ერთი მხრივ, ცხადია, უმჭიდროეს კავშირშია კონტექსტთან, მაგრამ, ამავე დროს ისეთნაირად არიან ჩამოყალიბებულნი, რომ უმტკივნეულოდ შეიძლება მათი კონტექსტს მოწყვეტა და ზოგად ფორმულად გამოყენება. ასეთი ოპერაციის შედეგად ისინი არ კარგავენ არც ესთეტიკურ და არც შემეცნებით ღირებულებას. ორიოდ შემთხვევაში ბუდენზიგის მიერ თარგმნილი აფორიზმი მეტისმეტად ეჯაჭვება კონტექსტს, ზედმეტად კონკრეტდება, აღარ ხერხდება მისი მექანიკურად მოხსნა და ზოგად ფორმულად გამოყენება“ (ბრეგაძე, 1980, გვ. 57-58).

ვნახოთ როგორ მიეჯაჭვა კონტექსტს აფორიზმი „*სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი*“ (რუსთველი, 1988, გვ. 105). თარგმანში ვკითხულობთ:

*Er erzählt ihm die Krankheit, die ihn mit Feuer umfassen.*  
*Besser versteht es ein anderer, **ihm** hilfreich Weisung zu geben*  
(Buddensieg, 1976, გვ. 98).

ეს, უკანვე რომ ვთარგმნოთ, ასე იქნება:

„იგი (სნეული ექიმი) უამბობს მას (ჯანსაღ ექიმს) თავის სენზე, რაც მას ცეცხლად მოსდებია, / უკეთ შეუძლია სხვას, რომ მას (სნეულ ექიმს) დაეხმაროს“.

ჩვენი კომენტარი ამის თაობაზე ეს იყო:

„სწორედ ამ „მას“ (*ihm*) განსაზღვრული ნაცვალსახელის გამოყენება აკონკრეტებს რუსთაველის ზოგად გამონათქვამს. ამ ნაცვალსახელმა ისე გადააბა მეოთხე სტრიქონი წინას, რომ აღარ შეიძლება მათი დაცილება და ბოლო ტაეპი ვეღარც ზოგად ფორმულად გამოდგება“ (ბრეგაძე, 1980, გვ. 58).

ხომ არ მომდინარეობს ეს უზუსტობა მ. წერეთლის პწკარედიდან?  
არა, იქ სწორადაა:

*Ein Fremder versteht besser, einem anderem nützliche Worte zu sprechen*  
(Tseretheli, 2015, გვ. 107).

ასეთივე ვითარება გვაქვს იმ აფორიზმის თარგმანშიც, რომელიც ავთანდილის ანდერძში გვხვდება: „*არა ვიქ[მ], ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა?!*“. ეს მესამე სტრიქონია, ამის წინ არის: „*მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა!*“ (რუსთველი, 1988, გვ. 123). ეს ორი სტრიქონიც თარგმანში მეტად მჭიდროდ გადაბმია ერთმანეთს, ისე, რომ აღარ ხერხდება მეორე მათგანის კონტექსტს ამორიდება და დამოუკიდებელ აფორიზმად გამოყენება:

*Soll meinen Freund ich verraten, den Bruder des innigen Bundes?*  
*Nein, ich **tus nicht**, was nützt mich sonst alle Weisheit der Weisen?*  
(Buddensieg, 1976, გვ. 112).

უკანვე რომ ვთარგმნოთ, ასე იქნება: „განა მე უნდა გავწირო ძმა, ვისთანაც შინაგანი კავში-  
რით ვარ დაკავშირებული? / არა, **ამას არ ვიზამ**, თორემ რაღაში მარგია ბრძნობა სიბრძნე?“  
ჩვენი კომენტარი:

„ორიგინალის „არა ვიქ[მ]“ მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ არ გავწირავ მეგობარს ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ ზოგადი მნიშვნელობა აქვს. „არა ვიქ[მ]“ აქ არ ნიშნავს რა-  
მე კონკრეტულის არჩადენას. „ვიქ[მ]“ აქ არის „ვიმოქმედებ“. აზრი ასეთია: თუ ცხოვრებაში,  
პრაქტიკაში არ გამოვიყენებ სიბრძნეს, ბრძნობა შეგონების მიხედვით თუ არ ვიმოქმედებ,  
რაში მარგია ასეთი ცოდნაო. „ვიქ[მ]“ აქ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება tun ან machen  
ზმნებით ითარგმნოს, იგი უნდა ითარგმნოს ზმნით handeln“ (ბრეგაძე, 1980, გვ. 58-59).

მართლაც, მ. წერეთლის პწკარედში ვკითხულობთ:

*Was nützt mir die Kenntnis der Weisheit der Weisen, wenn ich nicht danach **handle!***  
(Tseretheli, 2015, გვ. 121).

ავთანდილი ამ აზრს სხვაგანაც, კერძოდ, ტარიელთან კამათის დროსაც, იმეორებს. იგი მეგობარს ეუბნება:

„*არას გარგებს სწავლულება, თუ არა **იქ[მ]** ბრძნობა თქმულისა,*  
*არ იხმარებ, რა ხელსა ხდი საუნჯესა დაფარულსა“*  
(რუსთველი, 1988, გვ. 139).

ბუდენზიგთანაც და, ცხადია, წერეთელთანაც აქ ყველაფერი სწორადაა. „იქმ“ ზმნა აქ სწორედ handeln ზმნით არის თარგმნილი:

*Nichts nützt dir deine Gelehrtheit, **handelst** du nicht wie die Weisen.*  
*Brauchst du verborgene Schätze, wenn du sie niemals verwendest?*  
(Buddensieg, 1976, გვ. 125);

*Deine Gelehrsamkeit nützt dir nichts, wenn du nicht nach den Sprüchen*  
*der Weisen **handelst**.*  
*Was brauchst du einen verborgenen Schatz, wenn du ihn nicht verwendest?*  
(Tseretheli, 2015, გვ. 271-272).

ამრიგად, შედარებამ გვიჩვენა, რომ რამდენიმე უზუსტობა, რომლებიც შეინიშნება ჰერმან ბუდენიშვილის თარგმანში, არ მომდინარეობს მიხეილ წერეთლის პწკარედიდან და, პირიქით – მისი გაუთვალისწინებლობის შედეგია.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- ბრეგაძე, ლევან. (1980). ჰეგზამეტრებით თარგმნილი ვეფხისტყაოსანი. კრებული „ვეფხისტყაოსნის უახლესი თარგმანები ევროპულ ენებზე“, 50-62. თბილისი: „მეცნიერება“.
- ვასაძე, თამაზ. (2011). შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. ტექსტის კომენტარების და ანალიტიკური გზამკვლევის ავტორი თამაზ ვასაძე. თბილისი: „დიოგენე“.
- რუსთველი, შოთა. (1988). ვეფხისტყაოსანი. თბილისი: „მეცნიერება“.
- Buddensieg, Hermann. (1976). Schota Rustaweli. Der Mann im Pantherfell. Nachdichtung von Dr. phil. h. c. Hermann Buddensieg. Tbilissi: „Sabtschota sakartwelo“.
- Rustaweli, Schota. (2003). Der Mann im Panterfell. Übertragung aus dem Georgischen und Nachwort von Ruth Neukomm. Herausgegeben von Badri Scharwadze.
- Tseretheli, Michael. (2015). Schotha Rusthweli. Der Ritter im Pantherfell. Deutsch übersetzt von Michael von Tseretheli. Tbilisi: Verlag der Ivane Javakhishvili Staatlichen Universität Tbilisi.

#### References:

- Bregadze, levan. (1980). Hegzamet'rebit targmnili vepkhist'q'aosani [ *The Knight in the Panther's Skin* translated in hexameters]. In: „The Latest Translations of *The Knight in the Panther Skin* into European Languages“, 50-62. Tbilisi: „Metsniereba“.
- Buddensieg, Hermann. (1976). Schota Rustaweli, Der Mann im Pantherfell. Nachdichtung von Dr. phil. h. c. Hermann Buddensieg [The Man in the Panther's Skin, a poetic adaptation by Dr. phil. h. c. Hermann Buddensieg], Tbilisi: „Sabtschota sakartwelo“.
- Rustaveli, Shota. (1988). Vepkhist'q'aosani. [ *The Knight in the Panther's Skin*]. Tbilisi: „Metsniereba“.
- Rustaweli, Schota. (2003). Der Mann im Panterfell. Übertragung aus dem Georgischen und Nachwort von Ruth Neukomm. Herausgegeben von Badri Scharwadze [The Man in the Panther's Skin. Translated from the Georgian and with an afterword by Ruth Neukomm. Edited by Badri Sharvadze].
- Tseretheli, Michael. (2015). Schotha Rusthweli, Der Ritter im Pantherfell. Deutsch übersetzt von Michael von Tseretheli [The Knight in the Panther's Skin. Translated into German by Michael von Tseretheli], Tbilisi: Publishing House of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
- Vasadze, Tamaz. (2011). Shota Rustaveli, vepkhist'q'aosani, t'ekst'is k'oment'arebis da analit'ik'uri gzamk'vlevis avt'ori Tamaz Vasadze [Shota Rustaveli, *The Knight in the Panther's Skin*, with textual commentary and analytical guide by Tamaz Vasadze]. Tbilisi: „Diogene“.